



16.04.2014

სასამართლომ კალაძისა და ელოშვილის წინააღმდეგ სარჩელი არ დააკმაყოფილა

ახალი ამბები



შეუერთდი განხილვას

ამავე თემაზე

ენერგეტიკის მინისტრსა და მის მოადგილეს საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივიან „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილებას 11 აპრილს გამოიტანს „მწვანე ალტერნატივასა“ და ენერგეტიკის მინისტრს შორის მორიგება არ შედგა არასამთავრობოები "ხუდონჰესის" აშენებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ ხუდონჰესი - 35-წლიანი დილემა

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკის მინისტრსა და მის მოადგილეს ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის სასამართლოში უჩიოდა. ორგანიზაცია კახა კალაძისა

და ილია ელოშვილისგან თავიანთი განცხადებების საჯაროდ უარყოფასა და მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულისგან 1 აშშ დოლარი გადახდას მოითხოვდა. საქმე მათ მიერ საჯაროდ და მედიასაშუალებებთან ინტერვიუებში გაკეთებულ განცხადებებს ეხებოდა.

საქალაქო სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მოსამართლე ასმათ კობრიძის გადაწყვეტილება მხარეებს 11 აპრილს გააცნეს. თუმცა გადაწყვეტილების დასაბუთება 20-დან 30 დღეში იქნება ხელმისაწვდომი.

"24 საათის" 2013 წლის 12 ნოემბერის გამოცემაში გამოქვეყნებულ **ინტერვიუში** ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა: "მწვანე ალტერნატივა" რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას წარმოადგენენ".

მინისტრის მოადგილეს კი ორგანიზაცია 19 სექტემბერს რადიო "კომერსანტის" ეთერში გაკეთებული მსგავსი **განცხადების** გამო („მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“) უჩივის.

სასამართლოს მოსამზადებელ პერიოდში მხარეებს შორის **მორიგება არ შედგა.**

„მწვანე ალტერნატივას“ ადვოკატ ირმა მახათაძის თქმით, მოსამართლის გადაწყვეტილება არასწორი იყო, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები აშკარა იყო.

„ის განცხადებები, რასაც მინისტრი და მისი მოადგილე აკეთებენ, აშკარად ლახავდა „მწვანე ალტერნატივას“ საქმიან რეპუტაციას. „მწვანე ალტერნატივა“ საკმაოდ ცნობილია თავისი საქმიანობით, წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციაა და საჯარო მოხელეთა ამგავრი განმარტებები - რომ იგი ქვეყნის განვითარებას ეწინააღმდეგება, გარკვეულწილად ცუდად აისახება ორგანიზაციის იმიჯზე, როგორც საზოგადოებაში, ისე სხვა

შესაბამის დაწესებულებებთან მიმართებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ სასამართლომ ვერ გაბედა, ვერ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ“, - ამბობს ადვოკატი.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ სარჩელის მიზანი საჯარო მოხელეთა მსგავსი განცხადებების შემდგომი პრევენცია იყო.

„თავისთავად ის ფაქტი, რაც გავასაჩივრეთ, საკმაოდ სამწუხარო იყო და ჩვენი მიზანი სწორედ ის იყო, რომ გასაჩივრების შემდეგ საჯარო მოხელეებს თავი შეეკავებინათ მსგავსი განცხადებებისგან, მაგრამ ამ ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრევენციის ამ გზამ, ფაქტობრივად, არ იმუშავა.

მაშინაც კი, როდესაც სარჩელი შეტანილი გვქონდა, იგივე საჯარო მოხელეები ბევრად უფრო მწვავე განცხადებებსაც აკეთებდნენ ჩვენი და სხვა ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც კრიტიკული შენიშვნები ჰქონდათ. სასამართლოს გადაწყვეტილებაც მთელი ამ პროცესის ლოგიკური დასასრული იყო“, - ამბობს ნინო გუჯარაიძე.

მისი განმარტებით, კანონმდებლობა ამ კუთხით ისეთია, რომ საკმაოდ რთულია დამტკიცდეს კონკრეტული მორალური ზიანის არსებობა.

„ასეც რომ არ ყოფილიყო, არც გვქონდა მოლოდინი, რომ სასამართლო ასეთი მაღალი თანამდებობის პირებს განცხადებების უარყოფის ვალდებულებას დააკისრებდა. ჩვენი მიზანი კი - ასეთი განცხადებების პრევენცია - მიღწეულად ვერ ჩაითვლება“, - მიიჩნევს გუჯარაიძე.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აზრს მოკლებულად მიიჩნევს და იმედოვნებს, რომ ამგვარი განცხადებები მომავალში მაინც არ გაგრძელდება.